თემატური ჯგუფები - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“
”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში”

გაერთიანებული სხდომის ოქმი №21

26 ოქტომბერი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
26 ოქტომბერი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროექტის -„**პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** -ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩოს განხილვა
4. პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** - ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონიძიებების შესახებ ინფორმაცია
5. **რეკომენდაციები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის** - დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვა

მონაწილეები:		
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49

ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77
ნინო კოპალეიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577 74 74 44
მაკა კორძაძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/კოორდინატორი	Maka_kordzadze@yahoo.com 577 27 88 21
გოჩა გოგიტიძე	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	g.s.gogitidze@bsma.edu.ge 577 44 24 09
მიხეილ კორძახია	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია/ვიცე-პრეზიდენტი	mishakordzakhia@yahoo.com 597 18 18 21 599 18 18 25
კახაბერ ერაძე	საქართველო ბიზნესის აკადემია/რექტორი	kakha_ae@yahoo.com 595 45 82 88
ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	599 70 44 99
ლელა წიფურია	ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პროფესიული საგანმანათლებელო პროგრამის ხელმძღვანელი	Lela.tsiphuria@tsu.ge 599 65 49 80
თეა კვინტრაძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი/დირექტორის მოადგილე	tkvintradze@tpdc.ge 577 40 46 51
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577278883

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმები - **ოქმი თან ერთვის**

3. პროექტის -„**პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** -ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩოს განხილვა

<u>რეზიუმე</u>:

პროფესიული სტანდარტის ჩარჩო განსახილველად წარმოადგინა პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა ლალი ღოღელიანმა, რომელმაც ისაუბრა იმ ძირითად დეტალებზე, რისი კორექტირებაც მოხდა პროფესიული სტანდარტის სტრუქტურაში პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტი -**„პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** დაიწყო მიმდინარე წლის ივნისში, პროექტი ითვალისწინებს სამი კვალიფიკაციის (მზარეული, ელექტრიკოსი, კალატოზი) ათი საფეხურის პროფესიული სტანდარტის კორექტირებას. შეიქმნა სამივე სპეციალობის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები და უკვე მომზადდა პროფესიული სტანდარტის ჩარჩო და ელექტრიკოსის კორექტირებული სტანდარტი. პროფესიული სტანდარტის ჩარჩო, არსებული სტანდარტის სტრუქტურისგან განსხვავებულ რამოდენიმე დამატებით ერთეულს შიცავს, კერძოდ, DACUM-ის საფუძველზე უფრო დეტალურად აღიწერა პროფესიული პროფილი, სფეროს აღწერა შეიცვალა პროფესიის მოკლე აღწერით, ტერმინი პროფესიული სფერო შეიცვალა პროფესიული პროფილით, უფრო დეტალური გახდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა აღწერილობები, დაემატა პუნქტი: პროფესიული სტანდარტების განხილვისა და განახლების პროცედურები. ექსპერტების რეკომენდაციით, სტანდარტში სასურველია მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება და შესაბამისი კოდი არამარტო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, არამედ საერთაშორისო რეგულაციების მიხედვითაც.

(პროფესიული კვალიფიკაციის სტანდარტის ჩარჩო მოთხოვნები ოქმს თან ერთვის)

<u>მოსაზრებები და შენიშვნები:</u>

მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვეს მარიინა ჟვანიამ, კახაბერ ერაძემ, ლალი შაიშმელაშვილმა, გოჩა გოგიტიძემ, მაია ჩიხლაძემ, მათი მოსაზრებით, სტანდარტის ახალი ჩარჩო უფრო ინფორმაციულია და მის საფუძველზე პროგრამის შედგენა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუადვილდებათ, მაგრამ ალბათ პრობლემური იქნება პროფესიული პროფილის საერთაშორისო კოდის მითითება ყოველთვის, რადგან რიგ შემთხვევებში შესაძლოა ქართულ დასახელებას არ ჰქონდეს შესაბამისი ანალოგი ISCO-08-ს კლასიფიკატორში. ასევე გასარკვევია, თუ სტანდარტი შეიცვლება, პროგრამების კორექტირება რა დროში მოხდება და სტუდენტთა გადაყვანა ახალ პროგრამებზე როგორ განხორციელდება.

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

- გაგრძელდეს პროფესიული კვალიფიკაციის სტანდარტის ჩარჩო მოთხოვნებისა და ელექტრიკოსის სტანდარტის განხილვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით.
- დოკუმენტების საბოლოო ვერსიები განხილულ იქნას ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დარგობრივი ჯგუფის სხდომაზე, რის შემდეგაც დამტკიცდეს ელექტრიკოსის კორექტირებული სტანდარტი.

4. პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** - ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონიძიებების შესახებ ინფორმაცია

<u>**რეზიუმე**</u>:

ევროკომისიის საქართველოს დელეგაციის მიერ დაფინანსებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ, ექსპერტმა ქერსტინ შნაიდერმა მოკლედ მიმოიხილა პროექტი, ხაზი გაუსვა მის ძირითად მიზანს, რაც გამოიხატება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებისას ხარისხის უზრუნველყოფისა და რესურსების განვითარების ისეთ სქემებზე, რაც პროფესიული განათლების სამიზნე ჯგუფების, დაინტერესებული მხარეებისა და შრომის ბაზრის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. მან ისაუბრა პროექტის ორი ძირითადი კომპონენტის და მათი შემადგენელი ქვეკომპონენტების შესახებ.

კომპონენტი 1. პროფესიული განათლების რელევანტურობისა და ხარისხის გაძლიერება - სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

პირთათვის.

კომპონენტი 2. . დაინტერესებული მხარეების რესურსების გაძლიერება - პროფესიულ განათლებაში ჩართული, განსაკუთრებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პოლიტიკის გამტარებლების მენეჯმენტის გაძლიერება.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმ აქტივობებზე და სავარაუდო შედეგებზე, რომელიც პროექტის ფარგლებში განხორციელდება 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, სატრენინგო მოდულების მომზადება და ტრენიგების ჩატარება პროფესიული განათლების სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებში, საწარმოო პრაქტიკის სწავლებაში, პროფესიული სტანდარტების მომზადებაში, პროფესიული პროგრამის დიზაინსა და სტუდენტთა შეფასებაში, ხარისხის უზრუნველყოფასა და თვითშეფასებაში, ინკლუზიურ განათლებაში და სხვ. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის თანამშრომლებისთვის, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერებისა და მასწავლებლებისათვის. გარდა საერთაშორისო ექსპერტებისა, პროექტს მოემსახურება ორი გრძელვადიანი და რამოდენიმე მოკლევადიანი ეროვნული ექსპერტი, რომელთა შესარჩევად უკვე გამოცხადებულია კონკურსები. **(პრეზენტაცია ოქმს თან ერთვის).**

<u>**მოსაზრებები და შენიშვნები:**</u>

სხდომის მონაწილეები (თეა კვინტრაძე, კახა ერაძე, მიხეილ კორძახია, ლელა წიფურია, მაია ჩიხლაძე) დაინტერესდნენ, იქნება თუ არა პროექტის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია, თუ რომელი 4 პროფილის მასწავლებლების ტრენინგი განხორციელდება, რამდენად იქნებიან ამ პროექტში ჩართული კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაზეც მიიღეს პასუხი, რომ პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდება ყველა ავტორიზებული (დღეისათვის 90-მდე დაწესებულება) კოლეჯისათვის და იმ უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს. მარინა ჟვანიამ და ნინო კოპალეიშვილმა დამსწრეებს განუმარტეს, რომ პროექტს კოორდინაციას უწევს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და იქნება შესაძლებლობა პერიოდულად მოვისმინოთ პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, რაც შეეხება სტანდარტების კორექტირებას და მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამებს, პროფილების შერჩევაში გადამწყვეტი სიტყვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკუთვნის.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

5. **რეკომენდაციები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის** - დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვა

<u>**რეზიუმე**</u>:

ნანი დალაქიშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო დოკუმენტის - **რეკომენდაციები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის** - სამუშაო ვერსია და აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანების „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. რეკომენდაციები შემუშავდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და განხილულ იქნა ტრენინგზე, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. როგორც ავტორიზაციის კითხვარი, ასევე თვითშეფასების ანგარიში საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან მოითხოვს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების დადგენას. რამდენადაც თვითშეფასების პროცესის ანალიზით ირკვევა, ეს პროცედურები დადგენილი აქვს ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, მაგრამ მათ მიერ აღიარების პროცესის განხორციელებას ბევრი ხარვეზი ახლავს თან, ამდენად არსებობს წარმოდგენილი რეკომენდაციების მიღების და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მათი მიწოდების აუცილებლობა. რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული რისკი ამ პროცესის არაობიექტურად და გაუმჭვირვალედ განხორციელებისა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბევრი ადამიანისთვის ეს არის რეალური შანსი დაიდასტურინ არაფორმალურად მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა და გააგრძელონ სწავლა კვალიფიკაციის შემდეგ საფეხურზე. ამდენად, ეს დოკუმენტი დახმარებას გაუწევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დანერგონ თავიანთ პრაქტიკაში არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, რითაც მეტად პოპულარულს და მიმზიდველს გახდიან თავიანთ საქმიანობას. **(დოკუმენტი ოქმს თან ერთვის).**

<u>**მოსაზრებები და შენიშვნები:**</u>

მოსაზრებები გამოთქვეს მიხეილ კორძახიამ, კახა ერაძემ, გოჩა გოგიტიძემ, მაია ჩიხლაძემ, მათი ინფორმაციით, უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხებში, თუმცა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად ბრძანებით დადგენილი ნორმა, რომ აღიარების კომისიაში არ უნდა შედიოდეს თვით საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასევე დასაზუსტებელია აღიარების კომისიის გარდა, საგამოცდო კომისიები იარსებებს თუ არა. სასურველია დაწესებულებამ თვითონ განსაზღვროს, რა სახის სერთიფიკატს უღიარებს მაძიებელს. მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ როგორც ბრძანებაში, ასევე დოკუმენტში ჩასწორდეს ფრაზა, „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით პირი მიმართავს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ

საგანმანათლებლო დაწესებულებას“, საიდანაც ამოღებულ იქნას სიტყვა “ საფეხური“. კარგი იქნება, თუ მოვისმენთ ამ საკითხებში გამოცდილი რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილებას. დამსწრეებმა ითხოვეს დამატებითი დრო წარმოდგენილ დოკუმენტში შენიშვნებისა და მოსაზრებების გასაკეთებლად, ასევე გამოთქვეს ვარაუდი, რომ ზოგიერთი შენიშვნის შეტანის შემდეგ, შესაძლოა საჭირო გახდეს მინისტრის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

<u>**დასკვნები და ქმედებები:**</u>

- თემატური ჯგუფის წევრების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების შეტანის შემდეგ დოკუმენტი განთავსდეს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე საზოგადოებრივი განხილვისთვის
- დოკუმენტის - **რეკომენდაციები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის** - საბოლოო ვერსია დამტკიცდეს და დაეგზავნოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ჩარჩო მოთხოვნები

პროფესიული კვალიფიკაციის სტანდარტები

პროფესიის/სპეციალიზაციის კვალიფიკაციის მისაღებად

თბილისი, 2012

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანს პროფესიული სტანდარტების ცვლილებასა და განახლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დემონსტრირება წარმოადგენს.

ცვლილებების შემუშავება და შეთავაზება EuropeAid/127054/C/SER/multi „ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარების“ პროექტის მიერ საქართველოსთვის აღმოჩენილი ტექნიკური დახმარების ფარგლებში მოხდა.

1. შენიშვნები პროფესიული სტანდარტების მოდელზე

ზოგადად, წინასწარი ჩანაფიქრის მიხედვით, პროფესიული სტანდარტების მოდელის არსებული დოკუმენტი პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (VQF -ს) შესაბამისი უნდა ყოფილიყო, თუმცა რამდენიმე დამატება მაინც გახდა საჭირო. აღნიშნული დამატებები ანუ ცვლილებები საქართველოში დასაქმების სექტორის მიერ მოთხოვნად უნარ-ჩვევებს ასახავს, ამავე დროს, რაც ბევრად უფრო მნიშნელოვანია, წინამდებარე დოკუმენტი კომპეტენციებისა და სასწავლო მიზნების შეფასების მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს გამოხატავს, რაც თავის მხრივ, საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (VET-ის) განვითარებისთვის სრულიად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

დამატების სახით სამი ძირითადი წინადადება იქნა შემოთავაზებული:

DACUM-ის საფუძველზე უკეთესად აღიწეროს პროფესიული პროფილი, პროფესიული

სტანდარტის ფარგლებში სამუშაოს აღწერილობა ისეთი ფორმით წარმოჩინდეს, რომ ადვილად წასაკითხი და გასაგები გახდეს როგორც სასწავლო პროგრამის შემქმნელთათვის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისა და დამსაქმებლებისათვის (მ.შ. უცხოელი)

განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით, ერთსა და იმავე სტანდარტში კვალიფიკაციის სხვადასხვა დონეთა კომბინირება განხორციელდეს.

შინაარსის ზოგად აღწერილობაზე დაფუძნებული მიდგომა მოვალეობის, დავალებების და კომპეტენციების დეტალური აღწერით შეიცვალოს (საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების აღწერილობა)

ქვემოთ დეტალურად, პუნქტებად და გვერდების მიხედვით არის ჩამოთვლილი განახლებისათვის მოწოდებული რეკომენდაციები და შემუშავებული მეთოდოლოგიები:

1. თავი I: *სფეროს აღწერა* **პროფესიის მოკლე აღწერით** შეიცვალა: პროფესიის განსაზღვრება, სამუშაო გარემო, პროფესიის ადგილი კლასიფიკაციის საერთაშორისო სისტემაში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციები და გარემოსდაცვითი საკითხები, პროფასიასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები, კარიერის პერსპექტივები.
2. თავი II: იგივე მიზეზის გამო, ტერმინი *პროფესიული სფერო* **პროფესიული პროფილით** შეიცვალა. კვალიფიკაციის ზოგადი აღწერილობის ნაცვლად პროფესიული სტანდარტი გადაიქცა პროფესიულ პროფილად: კვალიფიცირებული მუშაკის მიერ შესასრულებელი ძირითადი მოვალეობები და დავალებები.
3. თავი III: პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა აღწერილობები უფრო დეტალური გახდა.
4. **დაემატა პუნქტი: პროფესიული სტანდარტების განხილვისა და განახლების პროცედურები.**

2. პროფესიული სტანდარტების არსი და მნიშვნელობა პროფესიის/სპეციალიზაციის კვალიფიკაციის ათვისების საქმეში

პროფესიული სტანდარტი (OS) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს პროფესიის კომპეტენციის მოცემული დონის ფარგლებში სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად საჭირო მოვალეობებისა და დავალებების მინიმუმს. ეს არის ბაზისური დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა დაწესებულებისთვის, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სწავლება და დაადასტუროს პროფესიული კვალიფიკაცია.

პროფესიული სტანდარტი აუცილებელი ზოგადი და პროფესიული ცოდნისა და უნარების დონეებს აფუძნებს და შემდგომი პროცესებისთვის წინაპირობებს ქმნის:

- **ისეთი თავისუფალი, მორალური და მეწარმე პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც პატივს სცემს კანონს, სხვათა უფლებებს, სხვათა კულტურას, ენას და განსხვავებულობას;**
- ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებათა ხელშეწყობა და მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის მიღწევა;
- მეცნიერების სხვადასხვა სფეროებიდან და პრაქტიკიდან წინა გამოცდილების და ახალი ცოდნის ინტეგრაციის მიზნით ძირითადი მეცნიერული კონცეფციებისა და პრინციპების დახვეწა;
- ტრენინგისა და პროფესიული კვალიფიკაციის არსებული სპექტრიდან, სკოლის მოსწავლეთა და თავად სკოლის შესაძლებლობების მიხედვით, არჩევანის არსებობა;
- საბავშვო ბაღების, სკოლების და მომსახურების სხვა ერთეულების მატერიალური, კულტურული და ეკოლოგიური გარემოს ჩამოყალიბება.

პროფესიის/სპეციალიზაციის კვალიფიკაციის ათვისებაში პროფესიული სტანდარტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს:

- სამუშაოს ძირითადი, ბაზისური და სპეციალური კომპეტენციების განსაზღვრა;
- ხარისხიანი ტრენინგის უზრუნველყოფა;
- პროფესიული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის გარანტირება;
- ცოდნისა და უნარჩვევების როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად მიღების შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომების ექვივალენტობა;
- შრომის ბაზართან კავშირის უზრუნველყოფა.

პროფესიის/სპეციალიზაციის კვალიფიკაციის ათვისებაში პროფესიული სტანდარტი მიზნად ისახავს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის დახვეწას და მის განათლების ხარისხისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. პროფესიული სტანდარტები ხელს უწყობს პროფესიული ტრენინგის ისეთ ფუნქციონალურ ორიენტაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იმყოფება როგორც დამსაქმებლის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ამავე დროს, ტრენინგის ეფექტურ და სწორ დაგეგმვასა და ორგანიზაციას ახდენს.

3. პროფესიული სტანდარტის შექმნის საკანონმდებლო ბაზა

პროფესიული სტანდარტები შემდეგ დოკუმენტებს ეფუძნება:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2010);
- ეროვნული საკვალიფიკაციოჩარჩო, კერძოდ, დამატებები 2 და 5(პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩო) ;
- მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი.

4. ჩარჩოს მოთხოვნების დანიშნულება და მიზანი

ჩარჩოს მოთხოვნები განკუთვნილია იმ სამუშაო ჯგუფებისთვის, რომლებიც პროფესიული კვალიფიკაციების ასათვისებელ პროფესიულ სტანდარტებს მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციისა და პროფესიული სპეციალიზაციების მიხედვით შექმნიან.

ჩარჩოს მოთხოვნებმა პროფესიული სტანდარტების შექმნის ერთიანი მიდგომა უნდა დააფუძნოს, კერძოდ უნდა მოხდეს:

- პროფესიული სტანდარტების ფარგლებში ჩამოთვლილ ყველა პროფესიასთან მიმართებაში ერთიანი სტრუქტურისა და ტერმინოლოგიის შემოღება;
- სხვადასხვა პროფესიებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის დონეების დამოწმებისას (ანუ სერტიფიცირებისას) შესაბამისი დონეების მოთხოვნების სტანდარტული იდენტურობის უზრუნველყოფა (ანუ უნიფიცირება)

5. პროფესიული სტანდარტების შექმნის მთავარი მოთხოვნები

პროფესიული სტანდარტები შემდეგი მოთხოვნების საფუძველზე უნდა შეიქმნას:

- პროფესიულმა სტანდარტმა კვალიფიცირებული მუშაკის მოვალეობები და დავალებები ნათლად უნდა ასახოს;
- პროფესიულმა სტანდარტმა მოცემულ კონკრეტულ სფეროში პერსონალური კომპეტენციის დემონსტრირება პროფესიული კომპეტენციის საშუალებით უნდა მოახდინოს;
- პროფესიულმა სტანდარტმა ძირითადი, ბაზისური და სპეციფიური პროფესიული კომპეტენციები უნდა განსაზღვროს;
- პროფესიული სტანდარტი უნდა ასახავდეს როგორც კონკრეტული პროფესიული სფეროს სპეციფიური შრომითი აქტიურობის ძირითად პაკეტს, ასევე პროფესიული სფეროს ფარგლებში პროფესიული ჯგუფის შრომითი მოვალეობა/დავალებათა მთავარი ჯგუფების დამახასიათებელ ნიშნებს (აღწერილობებს) უნდა შეესაბამებოდეს;
- პროფესიული სტანდარტი პროფესიის ფარგლებში ყველა სპეციფიურ სფეროს

უნდა მიესადაგებოდეს;

- პროფესიული სტანდარტი პროფესიული კვალიფიკაციის სხვადასხვა დონეების შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის დამოწმების (სერთიფიცირების) მოთხოვნების რეგულირებას უნდა ახდენდეს.

6. პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა

პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- თავფურცელი;
- შესავალი;
- პროფესიის მოკლე აღწერილობა;
- მოცემული პროფესიის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვით და სხვა კანონმდებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები და მოთხოვნები;
- კარიერული განვითარების ეტაპების შესაძლებლობანი;
- პროფესიული პროფილი- მოვალეობები, დავალებები;
- კვალიფიკაციის დონეთა აღწერილობები;
- პროფესიული სტანდარტის დამტკიცებისა და განახლების პროცედურები;

6.1. თავფურცელი და წინასიტყვაობა

თავფურცელი შემდეგი სახის ინფორმაციას მოიცავს:

6.1.1. კოდი და სათაური, რომელიც შეესაბამება ეროვნულ კლასიფიკაციას ან საინფორმაციო კლასიფიკაციას ან ნებისმიერ სხვა ეროვნულ საკლასიფიკაციო სისტემას;

6.1.2. კვალიფიკაციის ხარისხის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისი დონე;

6.1.3. ოფიციალური რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

6.2. შესავალი

6.3. პროფესიის მოკლე აღწერილობა

სამუშაოს აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- შრომითი დავალებების შესასრულებლად საჭირო სამუშაო აქტიურობის აღწერილობა (კომპლექსურობის დონის მიხედვით);
- პროფესიონალის/მუშაკის სავარაუდო მოვალეობებათა აღწერილობა;
- სამუშაო გარემოსა და პირობების თავისებურებათა აღწერილობა - სიტუაცია, რომლის პირობებშიც მოუწევს პროფესიონალს/მუშაკს საქმიანობის შესრულება.

პროფესიის აღწერილობა უნდა დაიწეროს ისეთი სახით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციურგანმახორციელებლებს სწავლებისა და შეფასების მოთხოვნათა შესახებ ზუსტი წარმოდგენა შეექმნას.

პროფესიული მიმოხილვის, ანალიზის და პროფილირების შემდეგ სამუშაოს აღწერილობა ისეთი სახით უნდა დასრულდეს, რომ მოკლედ აღწეროს მოვალეობებთან, დავალებებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციები, ამასთანავე პროცესის დროს შეგროვებული ყველა მონაცემი და პროფესიის ფარგლებში შესასრულებელი ქმედებები გაითვალისწინოს.

აუცილებლად უნდა შეფასდეს სამუშაო გარემო. აღნიშნულ სექციაში უნდა აღინიშნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამუშაოს სექტორი და ქვე-სექტორი;
- ფიზიკური სამუშაო პირობები (განათება და ილუმინაცია, ხმაური, ჰაერის კონდენცირება, ტენიანობა, ტემპერატურა და ა.შ);
- სხვა ასპექტები (მუშაობა მონაცემებთან, ადამიანებთან, მანქანა-დანადგარებთან);
- სხვა დაკავშირებული პროფესიები;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობანი;
- პროფესიული დაავადებები და უბედური შემთხვევა.

პროფესიონალური სფეროსა და შესაბამისი სამუშაოს აღწერილობის შექმნისას უნდა აისახოს ყველა ტენდენცია, მათ შორის ისიც, იმუშავებს თუ არა პროფესიონალი/მუშაკი სრული დატვირთვით თუ არა და ა.შ.

პროფესიის ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (EQF-თან) და საერთაშორისო საკვალიფიკაციო სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი თავად ბენეფიციარმა უნდა გადაწყვიტოს. ეს ინფორმაცია აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში განთავსებული ინფორმაციის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. კერძოდ, დამატებით შეიძლება მიეთითოს:

- ISCO-08 -ს შესაბამისი კოდი (პროფესიათა კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი);
- ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვითი რეგულაციები და მოთხოვნები, პროფესიასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო მოთხოვნები.

აქვე უნდა აღინიშნოს პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვითი მიზნით მისაღები ფორმალური და არაფორმალური ზომები.

უნდა აღიწეროს მოცემული პროფესიის შესაბამისი სავალდებულო საკანონმდებლო რეგულაციები .

- პროფესიათა საზღვრები
- უნდა აღინიშნოს პირის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიმართ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. აღნიშნული საკანონმდებლო

რეგულაციები მოცემულ პროფესიასთან პირდაპირ კავშირში უნდა იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს სტანდარტის ყველა სხვა ელემენტი, რომლებიც დოკუმენტის სხვა ნაწილებში არ განხილულა (მაგალითად, პროფესიისთვის აუცილებელი სხვა თვისებები). დისკრიმინაციული გამოთქმები არიდებული უნდა იქნას (მაგალითად ფიზიკური უუნარობა, ფერის სიბრმავე და ა.შ.)

უნდა აღინიშნოს კარიერული ეტაპების განვითარების ყველა ის შესაძლებლობები, რასაც მოცემული პროფესია დასაქმებისა თუ კარიერული წინსვლისთვის იძლევა.

6.4. პროფესიული პროფილი

მოცემული პროფესიის მოვალეობებისა და ამოცანების შესახებ მუშაკისთვის მნიშვნელოვანი ცნობები გრაფიკული ცხრილის სახით უნდა გამოვხატოთ.

6.4.1. მოვალეობებისა და ამოცანების იდენტიფიცირება

სამუშაოს მთავარ მახასიათებელ ფუნქციას სპეციფიური მოვალეობების და ამოცანების შესრულება წარმოადგენს. პროცესი მოიცავს პროფესიის მოვალეობების და ამოცანებისძირითდი სფეროების განსაზღვრას. მოვალეობა არის იმ ამოცანათა ან ქმედებათა ჯგუფი, რომელიც სპეციფიური ფუნქციის შესასრულებლად უნდა განხორციელდეს. დასახელებული ცნობები უნდა ასახავდეს იმ მოვალეობის ფუნქციონალურ სფეროს, რომელსაც სხვა ყველა სპეციფიური დავალებები შეესაბამება. როგორც წესი, პროფესიათა უმეტესობა დავალებათა სფეროს რვიდან თორმეტამდე ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს.

ამოცანა წარმოადგენს სამუშაოს ყველაზე მცირე ქვე-კატეგორიას, რომელსაც რაიმე ღირებული შედეგი შეიძლება გააჩნდეს. მოვალეობის თითოეული სფერო მოიცავს ექვს ან მეტ ამოცანას, რომელიც დავალების აღნიშნული სფეროს შესასრულებლად მუშაკის მიერ უნდა განხორციელდეს. ამოცანის თითოეული მტკიცებულება, ანუ აღწერა, უნდა იწყებოდეს ქმედების აღმნიშვნელი სიტყვით და აღწეროს ისეთი ქმედება, რომელიც დაკვირვებას ექვემდებარება.

მას შემდეგ, რაც კომპეტენციის ყველა სფეროსთვის განისაზღვრება მოვალეობები და სპეციფიური ამოცანები, უნდა მოხდეს მათი აღწერილობის დეტალური განხილვა. განხილვის საფუძველზე ზოგიერთი წინადადება შეიცვლება, ზოგი საერთოდ ამოვარდება, ან ახალი დაემატება.

როდესაც მოვალეობები და ამოცანები უკვე იდენტიფიცირებულია, საჭირო ხდება მათი დიაპაზონის დამტკიცება. ეს პროცედურა მოიცავს დავალებებისა და მოვალეობების დიაპაზონის სპეციალური ცხრილის შექმნას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სიხშირე, კომპლექსურობა, მნიშვნელოვნება, პასუხისმგებლობა.

6.5. კვალიფიკაციის დონის აღწერილობა

ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, ძირითადი კომპეტენციები, ბაზისური ცოდნა და უნარ-ჩვევები (სექტორული კომპეტენციები) პროფესიული კვალიფიკაციის სპეციფიურ სასწავლო ამოცანებს უნდა დაუკავშირდეს.

კვალიფიკაციის დონის დეტალები შესაბამისი დონის აღწერილობასთან კავშირში უნდა ჩამოყალიბდეს.

	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**დონე 4**	**დონე 5**
ცოდნა და გააზრება	სწავლის სფეროს პრინციპებზე ზოგადი ცოდნა და მარტივი დავალებების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯების გააზრება	ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნების გზით სწავლის სფეროს ზოგადი ცოდნა და მარტივი დავალებების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯების გააზრება	სწავლის სფეროს ბაზისური ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ძირითადი კონცეფციების ცოდნა; რთული დავალებების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯების გააზრება	სწავლის სფეროს ფაქტობრივ მოვლენებსა და თეორიულ პრინციპებზე დაფუძნებული ცოდნა; დავალებათა გადაწყვეტის ძირითადი ვარიანტების ცოდნა	პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული თანმიმდევრული და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; პროფესიული საქმიანობის პოტენციალის (საზღვრების) გააზრება
ცოდნის გამოყენება	ბაზისური მასალებისა და იარაღების დახმარებით, სტრუქტურირებულ გარემოში, პირდაპირი მეთვალყურეობის ქვეშ მარტივი და ჰომოგენური დავალებების შესრულების უნარი	ბაზისური მასალებისა და იარაღების დახმარებით სტაბილურ/სტრუქტურირებულ გარემოში, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის პირობებში წინასწარ განსაზღვრული დავალებების შესრულების უნარი	მოცემული სფეროსთვის სპეციფიური და ფართო დიაპაზონის უნარ-ჩვევების გამოყენების უნარი; დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომების შეფასების უნარი; ადექვატური მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევისა და ადაპტირების უნარი	სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში ინფორმაციის სანდო წყაროების გამოყენების უნარი; წარმოქმნილი სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად სტრატეგიის შემუშავების უნარი; შესრულებული სამუშაოს დახვეწის მიზნით შედეგების შეფასების უნარი	აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტისთვის აუცილებელი, ფართო დიაპაზონის კოგნიტიური და პრაქტიკული უნარჩვევების გამოყენების უნარი

შესწორების შეტანა	სუპერვაიზერის მითითებათა ფარგლებში, შრომის პროცესში გამოჩენილი მარტივი დავალებების იდენტიფიცირება	გარკვეული ხარისხის თავისუფლების პირობებში პრობლემის გადასაწყვეტად არსებული ინფორმაციის გამოყენებისა და შესაბამისი სამუშაოს შეფასების საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი	სხვადასხვა სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად არსებული ინფორმაციის წყაროების გამოყენების, შეფასებისა და ანალიზის უნარი	სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად ალტერნატიული გადაწყვეტილებების განხილვის, შედეგების გაანალიზების და შესაბამისი მიდგომის შემუშავების უნარი	ზუსტად განსაზღვრული პრობლემის იზოლაციის უნარი; მის გადასაწყვეტად შესაბამისი მონაცემების იდენტიფიკაციის და მათი სტანდარტული მეთოდებით ანალიზის უნარი; ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი

კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ამბების შესახებ სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; ბაზისური ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ასევე უცხო ენების ცოდნა	პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ამბების შესახებ სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციისუნარი; ბაზისური ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში; პროფესიულ საქმესთან დაკავშირებულ თემებზე უცხო ენაზე ელემენტარული კომუნიკაციის უნარი	პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიტუაციების შესახებ სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; ინფორმაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი; უცხოური ენების პრაქტიკაში გამოყენების უნარი	პროფესიასთან დაკავშირებული სხვადახვა სიტუაციების შესახებ სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; ინფორმაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად და სრულყოფილად გამოყენების უნარი; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული უცხოენოვანი ინფორმაციის აღქმის უნარი	რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენებით იდეათა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად კომუნიკაცია როგორც სპეციალისტ, ასევე არასპეციალისტ პირებთან; ინფორმაციისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემისა და პრეზენტაციის გაკეთების უნარი.

სწავლის უნარ-ჩვევები	სუპერვიზიის ქვეშ სწავლის უნარი	დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით სუპერვიზიის ქვეშ სწავლის უნარი	წინასწარ მიღებული დავალების პირობებში დამოუკიდებლად სწავლის პროცესში პასუხისმგებლობის აღების უნარი	პროგნოზირებად, თუმცა ნაწილობრივ განსხვავებულ გარემოში სასწავლო საჭიროებათა დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი.	არაპროგნოზირებად და განსხვავებულ გარემოში სასწავლო საჭიროებათა დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი.
ღირებულებები	პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა და ღირებულებების ცოდნა	პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა და ღირებულებების გააზრება და მათ შესაბამისად ქმედების უნარი	სხვადასხვა სიუაციებში პროფესიული ნიშნებისა და ღირებულებების შესაბამისად ქმედების უნარი	პროფესიული ნიშნებისა და ღირებულებების პატივისცემის და სხვადასხვა სიტუაციებში მათ შესაბამისად ქმედების უნარი	პროფესიული ნიშნებისა და ღირებულებების მიმართ საკუთრი დამოკიდებულების სხვებისთვის გაზიარებისა და მათი შეფასების უნარი

6.6. პროფესიული სტანდარტების განხილვისა და განახლების პროცედურები

მოქმედი პროფესიული სტანდარტები მაქსიმუმ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხედოს. გადახედვის მიზანია შემდგომი დახვეწა ან განახლება, რის საფუძველსაც სექტორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნები უნდა შეადგენდეს.

დანართი 2

საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა

2 კომპონენტი

- **კომპონენტი I**. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის (მათ შორის, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის/ჯგუფებისათვის) პროფესიული განათლების მიწოდების ხარისხის გაძლიერება და შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- **კომპონენტი II.** დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და ასევე პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანიების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი სააგენტოები), შესაძლებლობების გაძლიერება;

კომპონენტი I. პროფესიული განათლების მიწოდების ხარისხის გაძლიერება და შესაბამისობის უზრუნველყოფა

- **კომპონენტი 1.1** პროფესიული განათლების უზრუნველყოფის შესაბამისობა
- **კომპონენტი 1.2** პროფესიული განათლების მიწოდების ხარისხის გაძლიერება

- **კომპონენტი 1.3** მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების/ჯგუფების ინტენსიური ჩართვა პროფესიული განათლების სისტემაში
- **კომპონენტი 1.4** პროფესიული განათლების შესახებ დაინტერესებულ მხარეების ინფორმირებულობის დონის ამაღლება

კომპონენტი II. დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

- **კომპონენტი 2.1** პროფესიული საგანათლებლო დაწესებულებების მენეჯერების შესაძლებლობების გაძლიერება
- **კომპონენტი 2.2** პროფესიული საგანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება

აქტივობები & შედეგები

1. პროფესიული განათლების სტრატეგია და პოლიტიკა + ტრენინგ მოდული
2. კვლევა + ტრენინგ მოდული
3. გზამკვლევი პრაქტიკული ტრენინგებისათვის + ტრენინგ მოდული
4. პროფესიული სტანდარტები + ტრენინგ მოდული
5. პროგრამის დიზაინი + ტრენინგ მოდული
6. სტუდენტის შეფასება + ტრენინგ მოდული
7. სახელმძღვანელოები 4 პროფილისათვის/სფეროსათვის + ტრენინგი VET მასწავლებლებისათვის
8. ETF მეთოდოლოგიის პაკეტი
9. ხარისხის უზრუნველყოფა + ტრენინგ მოდული
10. თვითშეფასება + ტრენინგ მოდული
11. ინკლუზიური განათლება + ტრენინგ მოდული

12. ინფორმირებულობის გაზრდა
13. ტრენინგი პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების მენეჯერებისათვის
14. ტრენინგი 100 პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებისათვის
15. Kick-off: 13 ან 18 დეკემბერი 2012
16. საბოლოო/შემაჯამებელი კონფერენცია: 21 ან 22 ნოემბერი 2013

დანართი 3

(სამუშაო ვერსია)

რეკომენდაციები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

თავი I. არაფორმალური პროფესიული განათლება და მისი აღიარება

მუხლი 1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების არსი
სწავლა სიცოცხლის მანძილზე დაკავშირებულია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებასთან. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ინსტრუმენტი

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ინსტრუმენტია კონკრეტული პროფესიული სტანდარტი. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება. (ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანება
„არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“)

მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წინაპირობები
არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - მაძიებელი) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების

მიღებისათვის და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

მუხლი 4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო და ვადები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურას განსაზღვრავენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პირის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

თავი II. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ეტაპები

მუხლი 5. ინფორმირება და კონსულტაცია

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით პირი მიმართავს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას.
2. პროფესიული განათლების I, II ან III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი პირი (შემდგომში - კონსულტანტი), რომელიც კონსულტაციას უწევს პირს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონსულტანტი:

ა) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას არაფორმალური პროფესიული განათლების, მისი აღიარების მიზნებისა და შედეგების შესახებ;

ბ) პირს აწვდის ინფორმაციას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ;

გ) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცონდის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ;

დ) ეხმარება პირს თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით;
ე) პირს განუმარტავს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ეტაპებს;
ვ) შუამდომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის პირისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
4. საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის თვითშეფასების კითხვარს კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, სადაც ასახული იქნება ის ცონდა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც პირს მოეთხოვება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის. თვითშეფასების კითხვარში პირი უთითებს მის მიერ არაფორმალურად შეძენილ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს, რომელთაც ადასტურებს სათანადო დოკუმენტაციით (არსებობის შემთხვევაში).
5. საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის, წარსადგენი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების კითხვარის/კითხვარების განთავსებას დაწესებულების ვებგვერდზე.

მუხლი 6. პორტფოლიოს წარდგენა

1. პირი პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგენს პორტფოლიოს, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:
ა) უფლებამოსილი პირის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;
ბ) საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (შრომითი ხელშეკრულებები, სამუშაოს აღწერები, ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.);

ე) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის თვითშეფასების კითხვარი.
2. თვითშეფასების კითხვარი პირს საშუალებას აძლევს, აღწეროს საკუთარი პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობა კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ღირებულებებთან. თვითშეფასების კითხვარში პირი მიუთითებს, თუ კონკრეტული პროფესიული სტანდარტის რომელი საფეხურით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ღირებულებებთან სურს საკუთარი არაფორმალური პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობის დადასტურება.

მუხლი 7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობა და აღიარების კომისიის შექმნა
1. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი მე-3 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია შედგება (შემადგენლობა განსაზღვრულია #8/ბ ბრძანებით) დარგის სპეციალისტებისაგან.

მუხლი 8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისიის/საგამოცდო კომისიების შექმნა
1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია იღებს გადაწყვეტილებას, სადაც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდის/გამოცდების მეშვეობით.
2. იმ კომპეტენციების შემოწმების მიზნით, რომელთა ფლობაც ვერ დადასტურდა სათანადო დოკუმენტაციით, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით იქმნება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისია/საგამოცდო კომისიები.
3. დაწესებულება უზრუნველყოფს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ინფორმირებას საგამოცდო კომისიის/საგამოცდო კომისიების შექმნის, გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.
4. საგამოცდო კომისია შედგება დარგის სპეციალისტებისაგან და შესაბამისი დარგის დამსაქმებლებისგან. საგამოცდო კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს ასევე კონსულტანტი.

მუხლი 9. შეფასების პროცედურა

1. მაძიებლის მიერ არაფორმალური გზით შეძენილი იმ პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობა პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საფეხურით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ღირებულებებთან, რომელთა ფლობაც ვერ დადასტურდა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, მოწმდება გამოცდის/გამოცდების მეშვეობით.
2. საგამოცდო კომისია კონკრეტული პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციების შეფასებას ახორციელებს 100 ქულიანი სისტემის შესაბამისად.
3. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერილობით (ტესტები, კაზუსი ან/და თეორიული ნაწილი), ასევე გასაუბრების ან დემონსტრირების ფორმით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა ტარდება დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე. გამოცდის/გამოცდების მეთოდს/მეთოდებს საგამოცდო კომისია განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ადეკვატურად.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების დაშვებისთვის საგამოცდო კომისია ახდენს გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღება

1. გამოცდის შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების სრულად აღიარების შესახებ;
ბ) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ;
გ) მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუკი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მაძიებლის არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ, კომისია გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითებს, თუ რომელი კომპეტენციების დამატებით დაუფლების შემთხვევაში ექნება მას პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის მოპოვების შესაძლებლობა. კვალიფიკაციის მოპოვების შესაძლებლობა გულისხმობს ასევე პირის მიერ დამატებით არაფორმალური პროფესიული განათლების მიღებასა და მის შემდგომ აღიარებას.

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ფორმდება საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილება მოიცავს:
ა) დაწესებულების დასახელებას;
ბ) განმცხადებლის ვინაობას;
გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.
5. გადაწყვეტილებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.